ოქმი:**ო31. 3124156001**
თარიღი:**04/06/2024**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის
ოქმი N6

ქ. ლანჩხუთი

28. 05. 2024 წელი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა თავმჯდომარე კარლო კვიტაიშვილი, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე გიორგი ხელაძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი იმნაიშვილი, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ია მოქია, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნუნუ სულაკაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში რუსუდან გვარჯალაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლაშა სარჯველაძე, საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი გურამ ბოლქვაძე.

მოწვეული სტუმრები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი ირაკლი ხუხუნაიშვილი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის განსაზღვრის შემდეგ მერიიდან შემოვიდა რამდენიმე საკითხი და მიმართა საკრებულოს წევრებს, რომ აღნიშნული საკითხები დამატებოდა დღის წესრიგის პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 16 წევრი.

მომხრე საკრებულოს 16 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. ,,მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სანებართვო მოსაკრებლის შემოღების და სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 მაისის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი შოთა ჩაგუნავა/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 დეკემბრის N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის მიზნით, განკარგვაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ირაკლი ხუხუნაიშვილი/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, შპს ,,სქაიტელისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ირაკლი ხუხუნაიშვილი/

5. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, სალომე ბოჭორიშვილისთვის (პ/ნ 26001031170) პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ირაკლი ხუხუნაიშვილი/

6. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, მაია თურმანიძისთვის (პ/ნ 61005004423) პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ირაკლი ხუხუნაიშვილი/

7. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)იპ ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა“-სთვის (ს/კ 433650462) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ირაკლი ხუხუნაიშვილი/

8. სხვადასხვა საკითხები

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით საკრებულოს წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 16 წევრი.

მომხრე საკრებულოს 16 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი:

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 22 წევრი.
მომხრე საკრებულოს 22 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.

მიღებულ იქნა დადგენილება N6 (26.04.2024).

დღის წესრიგის პირველი საკითხი:, ,მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სანებართვო მოსაკრებლის შემოღების და სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 მაისის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ.** მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია, მშენებლობის ნებართვის გაცემის დროს ხელმძღვანელობს ,, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ მე-XII თავისა და ,,მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N255 დადგენილების შესაბამისად. დადგენილებაში გაწერილია მშენებლობის ის სახეები, რომელზეც მუნიციპალიტეტი გასცემს მშენებლობის ნებართვას, ხოლო კანონში იმ დოკუმენტაციის ჩამონათვალი, რომელიც მშენებლობის ნებართვის მაძიებელმა უნდა წარმოადგინოს მშენებლობის ნებართვის მისაღებად. კანონში გაწერილი ზემოაღნიშნული ჩამონათვალიდან, ერთ-ერთ საბუთს წარმოადგენს - სანებართვო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლის ოდენობის განსაზღვრის მიზნით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 მაისის N16 დადგენილებით დამტკიცებული აქვს წესი - ,,მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სანებართვო მოსაკრებლის შემოღების და სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ”. აღნიშნულ წესში არ არის გაწერილი მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელი დემონტაჟის სამშენებლო სამუშაოების გასაცემად. რის გამოც წესი საჭიროებს შესაბამისი ცვლილების ასახვას.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 16 წევრი.
მომხრე საკრებულოს 16 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა დადგენილება N7 (28.05.2024).

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 დეკემბრის N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ პროექტი სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ.** მან აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 22 თებერვლის N232 და 29 მარტის N447 განკარგულებებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტისათვის თანხის გამოყოფის შესახებ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის N2402 განკარგულებაში შესული ცვლილებებით ქ.ლანჩხუთში ბაგრატიონის, ბესიკის, გოგიჩაიშვილის, ებრალიძის, თამარ მეფის (პირველი ეტაპი) რ.ებრალიძის, საფო მგელაძის და ხოფერიას ქუჩების რეაბილიტაციაზე გამოიყო 3100 000 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსებით უნდა მიიმართოს 163158 ლარი, სულ პროექტის მთლიანი ღირებულება (მიმდინარე საფინანსო წელს ასანაზღაურებელი) 3263158 ლარი.

ქ.ლანჩხუთში ჟორდანიას ქN144-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის საძირკვლის რეაბილიტაციაზე გამოიყო 137202 ლარი, თანადაფინანსებით უნდა მიიმართოს 7222 ლარი სულ პროექტის ღირებულება 144424 ლარი.

სხდომას შემოუერთდა საკრებულოს წევრი ელისო ჭიჭინაძე.

ქ.ლანჩხუთში სპორტული დარბაზის მშენებლობაზე გამოიყო 806776 ლარი, თანადაფინანსებით უნდა მიიმართოს 42462 ლარი, სულ პროექტის ღირებულება

(მიმდინარე წელს ასანაზღაურებელი) 849238 ლარი. აღნიშნული პროექტების თანადაფინანსების უზრუნველყოფისათვის გაიზარდოს ადგილობრივი ბიუჯეტი შემოსავლის ნაწილში 212842 ლარით, მათ შორის შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები 163158 ლარით, მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის შემოსავალი 49684 ლარით.

საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 29 თებერვლის N271 განკარგულებით საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის N2400 განკარგულებაში შესული ცვლილებებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს დამატებით გამოიყო 120000 ლარი, სტიქიური მოვლენების შედეგების (მოსახლეობისათვის ხის მასალის და თუნუქის შეძენისათვის.) სალიკვიდაციო ღონისძიების განხორციელების მიზნით.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 17 წევრი.
მომხრე საკრებულოს 17 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N26 (28.05.2024).

დღის წესრიგის მესამე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის მიზნით, განკარგვაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსმა **ირაკლი ხუხუნაიშვილმა.** მისი განმარტებთ, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას 2024 წლის 18 აპრილის 5/22274 წერილით მომართა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ გიორგი დუგლაძემ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ აკეთში N27.03.43.362.01.501 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადასაცემად, შემდგომში აღნიშნული ქონების ა(ა)იპ-საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისათვის, პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემის მიზნით. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 108-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება - სახელმწიფოს გადასცეს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება, გარდა მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებისათვის საჭირო ძირითადი (გაუსხვისებელი) ქონებისა. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 108-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ საკრებულომ, სახელმწიფოს მიერ მოთხოვნის წარმოდგენიდან 45 დღის განმავლობაში არ მიიღო გადაწყვეტილება, მაშინ მოთხოვნილი ქონება (დამატებითი კატეგორიის) სახელმწიფოსათვის გადაცემულ ქონებად ჩაითვლება და სახელმწიფო ქონებად დარეგისტრირდება. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შემუშავდა განკარგულების პროექტი, რომლის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას და ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 17 წევრი.
მომხრე საკრებულოს 17 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N27 (28.05.2024).

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, შპს ,,სქაიტელისთვის" პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსმა

ირაკლი ხუხუნაიშვილმა. მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას 2024 წლის 1 მაისს წერილით მომართა შპს „სქაიტელს“-ის დირექტორმა არჩილ ხოჯაშვილმა, რომელშიც მოთხოვნილია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ლანჩხუთში ნინოშვილის ქუჩა N 37 -ში მდებარე შენობა-ნაგებობის (ს/კ 27.06.52.141.01.502 – შენობა ნაგებობის ძირითადი კოდი 27.06.52.141) პირველ სართულზე არსებული 336,03 კვ.მ. ფართიდან ოთახი N 35 -ის (13,99კვ.მ) და სოფელ სუფსაში ყოფილი ადმინისტრაციული შენობის (ს/კ 27.15.52.294) პირველ სართულზე არსებული 17,70 კვ.მ. ფართის (ს/კ 27.15.52.294.01.503) სარგებლობის უფლებით გადაცემა. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის მოსაზრებაა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N 669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების თანახმად შპს „სქაიტელს“ გადაეცეს ზემოთ აღნიშნული უძრავი ქონებები სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით, აგრეთვე მოგახსენებთ რომ ქ. ლანჩხუთში ნინოშვილის ქუჩა N 37 -ში მდებარე შენობა-ნაგებობის (ს/კ 27.06.52.141.01.502 - შენობა ნაგებობის ძირითადი კოდი 27.06.52.141) პირველ სართულზე არსებული 336,03 კვ.მ. ფართიდან ოთახი N 35 (13,99კვ.მ) გადაეცეს შპს „სქაიტელს“ 5 (ხუთი) წლის ვადით და წლიურ ქირის ოდენობად განესაზღვროს საბაზრო ღირებულების 14 746 (თოთხმეტი ათას შვიდასორმოცდაექვსი) ლარის - 20 % რაც შეადგენს 2 949,2 (ორიათას ცხრაას ორმოცდაცხრა ლარი და ოცი თეთრი) ლარს ხოლო სოფელ სუფსაში ყოფილი ადმინისტრაციული შენობის (ს/კ 27.15.52.294) პირველ სართულზე არსებული 17,70 კვ.მ. ფართი (ს/კ 27.15.52.294.01.503) შპს „სქაიტელს“ გადაეცეს 2 წლის ვადით და წლიურ ქირის ოდენობად განესაზღვროს საბაზრო ღირებულების 3801,4 (სამიათას რვაას ერთი ლარი და ორმოცი თეთრი) ლარის - 65 % რაც შეადგენს 2470,90 (ორიათას ოთხას სამოცდაათი ლარი და ოთხმოცდაათი თეთრი) ლარს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე წარმოგიდგენთ პროექტს განსახილველად და დასამტკიცებლად. პროექტის მიღება გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას და არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 17 წევრი.
მომხრე საკრებულოს 17 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N28 (28.05.2024).

დღის წესრიგის მეხუთე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, სალომე ბოჭორიშვილისთვის (პ/ნ 26001031170) პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსმა **ირაკლი ხუხუნაიშვილმა.** მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას 2022 წლის 14 დეკემბერს N 19/302234824-30 წერილით მომართა მოქალაქე სალომე ბოჭორიშვილმა (პ/ნ 26001031170) რომელშიც ითხოვს ჩოჩხათის ადმინისტრაციულ შენობაში (ს/კ 27.13.43.001) იჯარის ფორმით შენობა-ნაგებობის პირველ სართულზე არსებული 13, 94 კვ.მ. ფართის (ს/კ 27.13.43.001.01.503) გადაცემას.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის მოსაზრებაა, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N 669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების თანახმად გაიცეს სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით 5 წლის ვადით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ ჩოჩხათში მდებარე შენობა-ნაგებობის (ს/კ 27.13.43.001) პირველ სართულზე არსებული ოთახი N 19 - 13,94 კვ.მ. ფართი (ს/კ 27.13.43.001.01.503). მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის მოსაზრებაა, ზემოთ აღნიშნულ უძრავ ქონებაზე წლიური ქირის ოდენობად განისაზღვროს საბაზრო ღირებულების 2546 (ორიათას ხუთასორმოცდაექვსი) ლარის 47 % რაც შეადგენს 1 196,62 (ათას ცხრაას ოთხმოცდათექვსმეტი ლარი და სამოცდაორი თეთრი) ლარი.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და

წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 17 წევრი.
მომხრე საკრებულოს 17 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N29 (28.05.2024).

დღის წესრიგის მეექვსე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, მაია თურმანიძისთვის (პ/ნ 61005004423) პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსმა **ირაკლი ხუხუნაიშვილმა.** მისი განმარტებით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას 2024 წლის 13 მაისს N 19/302413537-30 წერილით მომართა მოქალაქე მაია თურმანიძემ (პ/ნ 61005004423) რომელშიც ითხოვს ჩოჩხათის ადმინისტრაციულ შენობაში (ს/კ 27.13.43.001) იჯარის ფორმით შენობა-ნაგებობის მეორე სართულზე არსებული 50,97 კვ.მ. ფართიდან (ს/კ 27.13.43.001.01.507) 10,46 კვ.მ. ფართის გადაცემას სასყიდლიანი სარგებლობის ფორმით.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის მოსაზრებაა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N 669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების თანახმად გაიცეს სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით 5 წლის ვადით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ ჩოჩხათში მდებარე შენობა- ნაგებობის (ს/კ 27.13.43.001) მეორე სართულზე არსებული 50,97 კვ.მ. ფართიდან (ს/ კ 27.13.43.001.01.507) ოთახი N 10 - 10,46 კვ.მ ფართი. სამსახურის მოსაზრებაა ზემოთ აღნიშნულ უძრავ ქონებაზე წლიური ქირის ოდენობად განისაზღვროს საბაზრო ღირებულების 1820 (ათას რვაასოცი) ლარის 65 % რაც შეადგენს 1183 (ათას ასოთხმოცდასამი) ლარი.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 17 წევრი.
მომხრე საკრებულოს 17 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N30 (28.05.2024).

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)იპ ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა“-სთვის (ს/კ 433650462) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსმა **ირაკლი ხუხუნაიშვილმა.** მან განმარტა, რომ2024 წლის 21 მაისის N 54 წერილით (განაცხადის N 13/302414222-30) მომართა ა(ა)იპ ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა“ -ს დირექტორმა და ითხოვა საკონფერენციო დარბაზისა და სამუშაო ოთახების მოწყობის მიზნით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ლანჩხუთში, ზაალ მდინარაძის ქუჩა N 2-ში მდებარე შენობა-ნაგებობის (ს/კ 27.06.56.072.01.501) მეორე სართულზე არსებული 14.74 კვ.მ. ფართ N 17-ის, 18.11 კვ.მ. ფართ N 18-ის, 13.83 კვ.მ. ფართ N 19-ის, 14.97 კვ.მ. ფართ N 20-ისა და 30.52 კვ.მ. ფართ N 21-ის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, ხსენებული ა(ა)აიპ-ის არსებობის ვადით სარგებლობაში გადაცემა. მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის მოსაზრებაა, რომ ზემოაღნიშნული უძრავი ქონება ა(ა)იპ ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა“-ს (ს/კ 433650462) გადაეცეს სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, უზუფრუქტის ფორმით.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 17 წევრი.
მომხრე საკრებულოს 17 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N31 (28.05.2024).

სხვადასხვა საკითხები:

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ **კარლო კვიტაიშვილმა** აღნიშნა, რომ აქტიურად მიმდინარეობს ქალაქის ქუჩებზე ასფალტის საფარის დაგება, რაც უდავოდ, მისასალმებელი ფაქტია, მაგრამ გურიელის ქუჩასთან დაკავშირებით შეიქმნა გარკვეული პრობლემა. მან მიმართა მუნიციპალიტეტის მერს, ხომ არ ფლობს ახალ ინფორმაციას შექმნილი სიტუაციის თაობაზე. გარდა ამისა, დაინტერესდა, როგორი ვითარებაა ჟორდანიას ქუჩაზე კორპუსის საძირკვლის გამაგრებასთან დაკავშირებით. საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ასევე შეეხო, კუპრეიშვილის ქუჩაზე მრავალბინიანი კორპუსის მაცხოვრებლების მიერ მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულ განცხადებას, რომლითაც ითხოვენ კორპუსის მდგრადობაზე დასკვნის მომზადებას, რადგან უკვე, წლებია, რაც საძირკველში ჩაედინება წყალი.

მუნიციპალიტეტის მერის განცხადებით, გურიელის ქუჩის რეაბილიტაციისთვის გათვალისწინებული თანხა ადგილობრივ ბიუჯეტში დევს და მუნიციპალიტეტის მხრიდან არანაირი პრობლემა არ არსებობს. შექმნილი სიტუაციის თაობაზე პირადად შეხვდა მინისტრის მოადგილეს და გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ხელმძღვანელს. გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია ქალაქში ახორციელებს ქსელის სრულ რეაბილიტაციას, რის შედეგადაც წყლის ცენტრალურმა მაგისტრალმა უნდა გაიაროს გურიელის ქუჩაზე. ამ ეტაპისთვის ელოდებიან მათ მიერ სამუშაოების დაწყებას, რაც სავარაუდოდ, ივლისის ბოლომდე ვერ მოხერხდება. უშუალოდ, გურიელის ქუჩის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით, ტენდერში გამარჯვებული კომპანია გამოვლენილია, რომელიც მზად არის ნებისმიერ დროს დაიწყოს შესაბამისი სამუშაოები, რასაც რამდენიმე დღეში დაასრულებს. ყოველივე ამის გამო, პირიქით, მუნიციპალიტეტს ეშლება ხელი თანხის ათვისების კუთხით. აქედან გამომდინარე, შესაბამის სამინისტროსთან შეთანხმებით, მუნიციპალიტეტს ეს ჩაეთვლება შესრულებულ სამუშაოდ, რადგან მისი მიზეზით არ ხდება შეფერხება. შესაბამისად, დამატებითი ფინანსების გამოყოფასთან დაკავშირებით პრობლემა არ შეიქმნება. იმის გათვალისწინებით, რომ გურიელის ქუჩის მაცხოვრებლები გამოთქვამენ გარკვეულ უკმაყოფილებას, შესაძლებელია, ადგილზე მოიწვიონ გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის რეგიონული ან ზემდგომი წარმომადგენლები, რათა მოსახლეობას მიაწოდონ სათანადო ინფორმაცია შექმნილი სიტუაციის თაობაზე. რაც შეეხება ჟორდანიას ქუჩაზე კორპუსის საძირკვლის გამაგრებას, იყო დაინტერესებული სუბიექტი, რომელიც ადგილზე შეხვდა მოსახლეობას, მაგრამ მოხდა გაუგებრობა და ამ კომპანიამ უარი განაცხადა. მუნიციპალიტეტმა გასწია გარკვეული სამუშაოები, რის შედეგადაც ერთ-ერთმა კომპანიამ გამოთქვა სურვილი. ამ ეტაპისთვის მიმდინარეობს პროექტზე მუშაობა. გარდა ამისა, სპორტული დარბაზის მშენებლობასთან დაკავშირებითაც არის დაინტერესებული კომპანია და სავარაუდოდ, უახლოეს პერიოდში მოიწვევენ ხელშეკრულების გასაფორმებლად. დღესდღეობით, გამოცხადებულ ტენდერებთან დაკავშირებით, პრობლემა შეიქმნა მხოლოდ ტაბანათის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციასთან მიმართებაში, რადგან მუნიციპალიტეტში ნაკლებია პრაქტიკა, რომ პროექტირება და მშენებლობა ერთი და იგივე კომპანიამ განახორციელოს. ამის შემდეგ, მუნიციპალიტეტის მერი შეეხო კუპრეიშვილის ქუჩაზე მრავალბინიანი კორპუსის მაცხოვრებლების მოთხოვნას და აღნიშნა, რომ მთელი ქვეყნის მასშტაბით, სტიქიური მოვლენებიდან გამომდინარე, გეოლოგების ჯგუფები გადანაწილებულია სხვადასხვა მუნიციპალიტეტში და დატვირთულ რეჟიმში უწევთ მუშაობა, მათ შორის, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტშიც. ამის გათვალისწინებით, დეპარტამენტს სპეციალისტები ფიზიკურად აღარ ჰყოფნის. თუკი ვერ მოხერხდა გეოლოგების მიერ აღნიშნული კორპუსის მდგრადობის შეფასება, მაშინ მოიწვევენ ლევან სამხარაულის სახელობის რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტის წარმომადგენლებს.

საკრებულოს წევრმა **ჯუმბერ ბლაგიძემ** დასვა შემდეგი საკითხები:

-ტურისტული სეზონის დაწყებასთან დაკავშირებით, როდის დასრულდება სოფელ გრიგოლეთში ქუჩების დამისამართება.

-პაატა კუპრაძეს, რომლის შვილი არის შშმ პირი, სახლის სახურავი აქვს დაზიანებული, რის შესახებაც მერიაში შემოსულია განცხადება;

- ხიდმაღალას სასაფლაოს მიმდებარე ქუჩაზე ასფალტის საფარის დაგება გათვალისწინებულია თუ არა მიმდინარე წლისთვის.

მუნიციპალიტეტის მერმა სოფელ გრიგოლეთში დამისამართებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მიერ შეძენილი იქნა ავტობუსები, რომელიც გადაეცა ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიცალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრს. ამის შემდეგ მოხდა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან კომუნიკაცია, რის შედეგადაც გამოთავისუფლდა 45000 ლარი, რომელშიც სხვადასხვა ხარჯებთან ერთად გათვალისწინებულია სოფელ გრიგოლეთში დამისამართების საკითხი. რაც შეეხება ხიდმაღალას სასაფლაოს მიმდებარე ქუჩაზე ასფალტის საფარის დაგებას, განმარტა, რომ მიმდინარე წლის ლიმიტი, ფაქტობრივად, ამოწურულია, მაგრამ ივლისის თვის შუა რიცხვებიდან ელოდებიან ახალ თანხებს, რაც მხოლოდ სოფლებზე მიიმართება. შესაბამისად, მოხდება აღნიშნული ქუჩის კეთილმოწყობაც, მით უმეტეს, რომ პროექტი გამზადებულია. მოქალაქე პაატა კუპრაძესთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის მერმა აღნიშნა, რომ განცხადება მასთან არ მისულა და თუ ამ პიროვნებას რეალურად, სტიქიის შედეგად დაუზიანდა სახლის სახურავი, გაეწევა სათანადო დახმარება, რადგან აქამდე არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, რომ სტიქიის მიერ სახლების დაზიანებისას, მუნიციპალიტეტს მოსახლეობისთვის არ მიექცია შესაბამისი ყურადღება.

საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ **ია მოქიამ** აღნიშნა, რომ რადგანაც ძალიან ბევრმა მოქალაქემ მომართა ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლების-ჯუმბერ ბლაგიძის და გოჩა ჯანაშიას წინააღმდეგ, თავს ვალდებულად თვლის გააკეთოს შემდეგი განცხადება. კერძოდ, ეს პიროვნებები დადიან მოსახლეობაში და ითხოვენ პირადობის დამადასტურებელ მოწმობებს რეალური საჭიროებების გაცნობის გარეშე. მან მიმართა საკრებულოს წევრს, რომ ხალხის მოტყუება, გამოყენება ან იძულება ყოვლად დაუშვებელია. გარდა ამისა, ასეთი ქმედებით არღვევს კანონს, რადგან პირადობის დამადასტურებელი მოწმობა არის პერსონალური მონაცემი. აქედან გამომდინარე, პოლიტიკური მიზნების განხორციელება უნდა ხდებოდეს არა მოსახლეობის შეცდომაში შეყვანით, არამედ კანონის ფარგლებში, როგორც პოლიტიკურ ეთიკას და მორალს შეესაბამება. საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ ასევე მიმართა მოსახლეობას, რომ მათ აქვთ უფლება, დაიცვან საკუთარი პირადი პერსონალური მონაცემები და არ მისცენ არავის, არანაირი ძალდატანების ან დაპირების სანაცვლოდ.

საკრებულოს წევრის, **ჯუმბერ ბლაგიძის** განცხადებით, ხორციელდებოდა პარტია ,,საქართველოსთვის“ რეგისტრაცია, მაგრამ არც ერთ მოქალაქესთან მიმართებაში ადგილი არ ჰქონია არანაირ ძალდატანებას. მან მიმართა საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარეს, რომ თუკი ასეთი შემთხვევა მისთვის ცნობილია, დაასახელოს კონკრეტული ფაქტი. გარდა ამისა, ამისთვის არსებობს სამართალდამცავი ორგანოები.

მუნიციპალიტეტის მერმა თავის მხრივ აღნიშნა, რომ მისთვის არაერთგზის ცნობილია არა მარტო იმ სიტუაციების შესახებ, რაზეც ისაუბრა საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ, არამედ ფლობს ინფორმაციას მრავალი სხვა ფაქტის თაობაზეც. კერძოდ, მოსახლეობა შეჰყავდათ შეცდომაში, თითქოს პარტიები ,,საქართველოსთვის“ და ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ ერთი და იგივე გუნდია. ამასთან დაკავშირებით საკრებულოს წევრმა **ჯუმბერ ბლაგიძემ** განაცხადა, რომ ასეთ შემთხვევას ადგილი არ ჰქონია და მუნიციპალიტეტის მერისთვის ინფორმაცია არასწორადაა მიწოდებული.

საკრებულოს წევრმა **დარეჯან ბურჭულაძემ** აღნიშნა, რომ პოლიტიკას და ოპონირებას აქვს თავისი წესები. დაპირისპირება უნდა იყოს პოლიტიკური კუთხით და არა, პიროვნული.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე საკრებულოს წევრთა
დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

28 მაისი 2024 წელი
12:00 საათი

№	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ზესიკ ტაბიძე	11:55	
2	ემზარ თევდორაძე		
3	ვერიკო კვირკველია	—	—
4	გიორგი ჩახვაძე	11:55	
5	გიორგი ხელაძე	11:50	
6	ალექსანდრე მახათაძე	11:45	
7	ზაზა წულაძე	11:55	
8	კარლო კვიტაიშვილი	11:55	
9	გიორგი იმნაიშვილი	11:45	
10	ია მოქია	11:50	
11	კახაბერ ასკურავა	გამოცხადება	
12	მაკა მშვიდობაძე		
13	ვლადიმერ ნანაძე	11:35	
14	კარლო წილოსანი	11:45	
15	ლოლიტა ურუშაძე	11:55	
16	ნინო მშვიდობაძე	11:55	
17	გოგი მორჩილაძე		
18	სპარტაკ კვაჭაძე	11:00	
19	გიორგი გოგუაძე	გამოცხადება	
20	გოჩა ჯანაშია		
21	ელისო ჭიჭინაძე	11:50	
22	რევაზ კვერენჩხილაძე	11:50	
23	კახა თედორაძე	—	—

24	დარეჯან ბურჭულაძე	11 3	
25	ირმა მგელაძე		
26	გივი ცინცაძე		
27	ჯუმბერ ბლაგიძე	11 45	